

**შპს „დუსან ჯორჯია“**

**2018 წლის სპეციალური დანიშნულების  
ფინანსური ანგარიშგება**

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| შენიშვნა                                            | 31.12.2018     | 01.01.2018     |
|-----------------------------------------------------|----------------|----------------|
| <b>აქტივები</b>                                     |                |                |
| მიმდინარე აქტივები                                  |                |                |
| ფულადი სახსრები                                     | 3.1 877833     | 790892         |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                          | 3.2 2081001    | 2626851        |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები                   | 3.3 5371150    | 2413982        |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                       | <b>8329984</b> | <b>5831725</b> |
| გრძელვადიანი აქტივები                               |                |                |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში                  | 0              | 0              |
| ძირითადი საშუალებები                                | 3.4 686738     | 1033193        |
| არამატერიალური აქტივები                             | 3.5 28884      | 38638          |
| ბიოლოგიური აქტივები                                 | 2732           | 424            |
| გადავადებული სავადასახადო აქტივი                    | 0              | 0              |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                    | <b>718355</b>  | <b>1072255</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                                 | <b>9048339</b> | <b>6903979</b> |
| <b>ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>           |                |                |
| მოკლევადიანი ვალდებულებები                          |                |                |
| მოკლევადიანი სესხი                                  | 0              | 0              |
| სავაჭრო ვალდებულებები                               | 3.6 4735058    | 635206         |
| გადასახდელი პროცენტი                                | 0              | 0              |
| მიმდინარე სავადასახადო ვალდებულება                  | -183776        | 385388         |
| ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის            | 0              | 0              |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები                     | 4429           | 0              |
| ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე წილი      | 0              | 0              |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>               | <b>4555711</b> | <b>1020594</b> |
| გრძელვადიანი ვალდებულებები                          |                |                |
| ზანქის სესხი                                        | 0              | 0              |
| მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელობის ვალდებულებები | 0              | 0              |
| ფინანსური იჯარის ვალდებულებები                      | 0              | 0              |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>               | <b>0</b>       | <b>0</b>       |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                            | <b>4555711</b> | <b>1020594</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                            |                |                |
| რეზერვი                                             | 0              | 0              |
| სააქციო კაპიტალი                                    | 12             | 12             |
| გაუნაწილებელი მოგება/ზარალი                         | 4492616        | 5883373        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                        | <b>4492628</b> | <b>5883385</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>       | <b>9048339</b> | <b>6903979</b> |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.


დირექტორი \_\_\_\_\_ ალექსი ასკურავა

## მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

|                                              | შენიშვნა | 2018           |
|----------------------------------------------|----------|----------------|
| ამონაგები                                    | 3.7      | 19 952 033     |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება        | 3.8      | (16 799 407)   |
| პერსონალის ხარჯი                             |          | (1 276 604)    |
| სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი | 3.9      | (200 271)      |
| აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი                 |          | -              |
| საკონსულტაციო ხარჯი                          |          | (62 528)       |
| საგადასახადო ხარჯი                           |          | (8 554)        |
| ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები      |          | (253 404)      |
| კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები          |          | (12 757)       |
| ოჯარის ხარჯი                                 |          | (173 845)      |
| ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი          |          | (167 972)      |
| ცვეთა და ამორტიზაცია                         |          | (369 028)      |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი     | 3.10     | (324 289)      |
| სხვა ხარჯები                                 |          | -              |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                     |          | <b>303 374</b> |
| გაუფასურება                                  |          | -              |
| საპროცენტო შემოსავალი                        |          | 24 192         |
| საპროცენტო ხარჯები                           |          | -              |
| საკურსო სხვაობა                              |          | (191 275)      |
| სხვა შემოსავალი                              |          | -              |
| <b>მოგება დაზღვევამდე</b>                    |          | <b>136 291</b> |
| მოგების გადასახადი                           |          | (16 672)       |
| <b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი</b>         |          | <b>119 619</b> |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი




ალექსი ასკურავა

შპს "დუსან ჯორჯია"

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

|                               | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სხვა რეზერვები | სულ       |
|-------------------------------|-----------------------|-------------------------|----------------|-----------|
| ნაშთი 1 იანვარი 2018          | 12                    | 5883373                 | -              | 5883385   |
| სხვა ცვლილება                 | -                     |                         |                | -         |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი | -                     | 119619                  | -              | 119619    |
| დივიდენდის განაწილება         |                       | (1510376)               |                | (1510376) |
| ნაშთი 31 დეკემბერი 2018       | 12                    | 4492616                 | -              | 4492628   |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი  ალექსი ასკურავა

შპს "დუსან ჯორჯია"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

|                                                   |          |
|---------------------------------------------------|----------|
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან   | 1517305  |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან | 50177    |
| წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან    | -1472526 |
| წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში | 94956    |
| სავალუტო კურსის ეფექტი                            | -8015    |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში       | 790892   |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს            | 877833   |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი \_\_\_\_\_ ალექსი ასკურავა

## 2018 წლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „დუსან ჯორჯია“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2012 წლის 15 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404955036, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, საქართველოს სამხედრო გზაზე მუხათგვერდის სასაფლაოზე ასახვევ გზასა და ფირმა "შანი"-ს შორის. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის წილის მფლობელები არიან: შპს „დ.კ. კომპანი“ (ს/კ426522809)-51%; დავით გიორგობიანი (პ.5.01017000104)- 40%; გია მუჯირი (პ.5.01017001181) – 4%; მიხეილ გაბრიჩიძე (პ.5.01026006748)-5%.

1.3. კომპანიის დირექტორია ალექსი ასკურავა (პ.5.01008009721).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სამშენებლო ტექნიკით ვაჭრობა, მშენებლობის ტექნიკის და მოწყობილობების იჯარა და სპეცტექნიკის სარემონტო მომსახურება. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში სავაჭრო საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 2 ადგილიდან (1 - ზესტაფონი, 1 - თბილისში).

1.5. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და

აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფას-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

#### **შემოსავლების აღიარება**

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

#### **საექვო მოთხოვნების აღიარება**

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

### **ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

#### **გარიგებები უცხოურ ვალუტაში**

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

#### **დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები**

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

#### **მარაგები**

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

#### **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

#### **გრძელვადიანი აქტივები**

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სარეკლამო საშუალებები - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

## 2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოუშვებთ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

## 2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

## 2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.  
 2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;  
 1 EUR=2.8596 ლარი.

### 3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

#### 3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

|                                       | 2018          | 2017          |
|---------------------------------------|---------------|---------------|
| ნაღდი ფული ლარებში                    | 166           | 1283          |
| ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე | 876928        | 789550        |
| უცხოური ვალუტა ადგილობრივ ბანკებში    | 739           | 59            |
| <b>სულ</b>                            | <b>877833</b> | <b>790892</b> |

#### 3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

|                                          |                |                |
|------------------------------------------|----------------|----------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 1929130        | 2523543        |
| მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები          | 37177          | 35831          |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები             | 95576          |                |
| წინასწარ დარიცხული ხელფასი               |                | 5056           |
| წინასწარ ანაზღაურებული დაზღვევა          | 2428           |                |
| მოთხოვნები გაცემული სესხიდან             | 16691          | 62421          |
| <b>სულ</b>                               | <b>2081001</b> | <b>2626851</b> |

2018 წლის ბოლოსათვის დარჩენილი „მოთხოვნები გაცემული სესხებიდან“ დავალიანება წარმოადგენს გადასახდელ პროცენტს, წარმოშობილს 2017 წელს გაცემული მოკლევადიანი სესხიდან, რომელიც ძირითადად დაიფარა 2018 წელს.

#### 3.3. მარაგები:

|                         | 2018           | 2017           |
|-------------------------|----------------|----------------|
| საქონელი                | 5369795        | 2412176        |
| საწვავ-საცხები მასალები | 1355           | 1806           |
| <b>სულ</b>              | <b>5371150</b> | <b>2413982</b> |

#### 3.4. ძირითადი საშუალებები:

| დაუზღოვრებელი მშენებლობა                   | მიწის წაკეთები | მიწის ნაკვეთი | შენიშვნები | ნაკეთი, მიღებული, გაყვანილობის სისტემები | მანქანა-დანადგარები | ძალადგანი, თბოტექნიკური და ტელეკომუნიკაციების მოწყობილობები | სატრანსპორტო საშუალებები და ტექნიკა | აგრო-სასეარდო, სასაფარი, სასაფარი, სასაფარი და ინვენტარი | სხვა ამორტიზაციის საშუალებები | სხვა მართვადი საშუალებები | სულ       |
|--------------------------------------------|----------------|---------------|------------|------------------------------------------|---------------------|-------------------------------------------------------------|-------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------|---------------------------|-----------|
| ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი                | 576            | 260           | 38532      |                                          | 1345393             | 61507                                                       | 366544                              | 98220                                                    | 66901                         | 85282                     | 2043216   |
| შესრულებული                                | 12797          |               |            | 2447                                     |                     | 0                                                           | 88220                               | 52131                                                    | 7482                          | 12629                     | 179706    |
| გასული                                     | (13373)        |               |            |                                          | (178523)            | 0                                                           | (41436)                             | 0                                                        | 0                             |                           | (235331)  |
| ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი             | 0              | 260           | 0          | 38532                                    | 2447                | 1166870                                                     | 61507                               | 413329                                                   | 156351                        | 74383                     | 2055949   |
| დატვირთული დედა                            | 0              | 0             | (4288)     |                                          | (731557)            | (12876)                                                     | (187022)                            | (28014)                                                  | (19191)                       | (67075)                   | (1330023) |
| ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი                | 0              | -             | (1466)     | (95)                                     | (240652)            | (5001)                                                      | (60053)                             | (23297)                                                  | (7206)                        | (18700)                   | (260029)  |
| დედას სარეზერვუარი                         | -              | -             |            |                                          | 62483               |                                                             | 17717                               |                                                          |                               |                           | 80200     |
| გასული პაროლი საშუალებების დატვირთული დედა | 0              | 0             | 0          | (5737)                                   | (85)                | (918726)                                                    | (18638)                             | (209957)                                                 | (51311)                       | (28397)                   | (85781)   |
| ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი             | 0              | 0             | 0          | (5737)                                   | (85)                | (918726)                                                    | (18638)                             | (209957)                                                 | (51311)                       | (28397)                   | (85781)   |
| წინადასახელები დირექტორი                   | 576            | 260           | 0          | 34244                                    | 0                   | 613835                                                      | 48631                               | 199522                                                   | 70207                         | 47710                     | 1033193   |
| ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი                | 0              | 260           | 0          | 32775                                    | 2362                | 248144                                                      | 42669                               | 203372                                                   | 90040                         | 45986                     | 686738    |

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 1 318 852 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 1 030 023 ლარი.

### 3.5. არამატერიალური აქტივები:

|                                                    | პროგრამული უზრუნველყოფა |
|----------------------------------------------------|-------------------------|
| ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერი                     | 67268                   |
| დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება 2018 წლის 1 იანვარი | (28629)                 |
| ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი                        | 38638                   |
| წლიური ამორტიზაციის ხარჯი                          | (9754)                  |
| ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი                     | 28884                   |

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 38 383 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 28 629 ლარი.

### 3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

|                                         | 2018    | 2017   |
|-----------------------------------------|---------|--------|
| მიწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები | 4658661 | 524198 |
| მიღებული ავანსები                       | 76397   | 111008 |
| სულ                                     | 4735058 | 635206 |

### 3.7. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან:

|                         | 2018     |
|-------------------------|----------|
| საქონლის რეალიზაცია     | 16727563 |
| მომსახურების რეალიზაცია | 3224470  |
| სულ                     | 19952033 |

### 3.8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება:

|                                     | 2018            |
|-------------------------------------|-----------------|
| რეალიზებული ტექნიკის თვითღირებულება | 15058347        |
| სხვა საქონლის თვითღირებულება        | 1741060         |
| <b>სულ</b>                          | <b>16799407</b> |

### 3.9. სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი:

|                                      | 2018          |
|--------------------------------------|---------------|
| რეკლამის ხარჯები                     | 172923        |
| მარკეტინგის ხარჯი                    | 0             |
| ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები | 0             |
| მიწოდების სხვა ხარჯები               | 27348         |
| <b>სულ</b>                           | <b>200271</b> |

### 3.10. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი:

|                                      | 2018          |
|--------------------------------------|---------------|
| საოფისე და საწარმოო ინვენტარის ხარჯი | 9399          |
| საკანცელარიო ხარჯი                   | 89            |
| კომპიუტერის ხარჯები                  | 1514          |
| კომუნიკაციის ხარჯები                 | 20895         |
| დაზღვევა                             | 46957         |
| საბანკო ხარჯები                      | 31227         |
| მივლინების ხარჯი                     | 32323         |
| რემონტი                              | 49228         |
| ავტომატური ხარჯების რემონტის ხარჯები | 71406         |
| წარმომადგენლობითი ხარჯი              | 3377          |
| სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი | 57623         |
| საქველმოქმედო ხარჯები                | 250           |
| <b>სულ</b>                           | <b>324289</b> |

### 3.11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.